ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

24 ნოემბერი -1 დეკემბერი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

თავდასხმა ამერიკის ძალებზე

ერაყში და სირიაში ამერიკის ძალებზე ოთხი სარაკეტო და დრონით თავდასხმა განხორციელდა, თუმცა როგორც ამერიკის სამხედრო წარმომადგენლები ამბობენ, თავდასხმებს მსხვერპლი ან ინფრასტრუქტურული ზიანი არ მოჰყოლია.

24.11.2023

ისრაელის საჰაერო თავდასხმა სირიის აეროპორტებზე

სირიის დედაქალაქ დამასკოში, საერთაშორისო აეროპორტზე ისრაელმა საჰაერო თავდასხმა განახორციელა, რასაც აეროპორტის სრული გაუვნებლება მოჰყვა. ღაზაში, ჰამას-ისრაელის დაპირისპირების შემდეგ, ისრაელის ძალები სირიის აეროპორტებზე საჰაერო თავდასხმას ახორციელებენ.

26.11.2023

ისრაელსა და ჰამასს შორის მძევლების გაცვლა გრძელდება

ტერორისტულმა ორგანიზაცია „ჰარაკატ ალ-მუქავარმა ალ-ისლამიამ“ (შემოკ. „ჰამასი“) 17 მძევალი გაათავისუფლა, რომელთა შორის იყო 14 ისრაელის მოქალაქე და ერთი ამერიკელი. საპასუხოდ, ისრაელმა 39 პალესტინელი პატიმარი გაათავისუფლა. მძევალთა უმეტესობა აეროპორტში გადაიყვანა სპეციალურმა ძალებმა, მაშინ როდესაც ნაწილს ეგვიპტის გავლა მოუწია. მძევლებს შორი იყო ოთხი წლის ისრაელ-ამერიკის მოქალაქე, რომელთა მშობლებიც დაპირისპირებას ემსხვერპლნენ.

27.11.2023

სუიციდურ ტერორისტული თავდასხმა პაკისტანში

პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სამხედრო დანაყოფზე განხორციელებულ სუიციდურ ტერორისტულ თავდასხმას ემსხვერპლა ორი მოქალაქე და მძიმედ დაშავდა შვიდი მოქალაქე და სამი ჯარისკაცი. ტერორისტი ავღანელ, ანტი-სახელმწიფოებრივ დაჯგუფება ჰაფიზ გულ ბაჰადურის წევრი იყო.

27.11.2023

ისრაელისა და ლიბანის დაპირისპირება

ისრაელსა და ლიბანს შორის არსებული დაპირისპირება კვლავ გრძელდება. ისრაელმა სამხრეთ ლიბანზე მიიტანა იერიში და ამ მიმართულებით ნასროლი ჭურვი, ლიბანის სამხრეთით არსებულ ქალაქებში დაეცა. ისრაელის არმია ამ ეტაპზე არ იღებს ქმედებაზე პასუხისმგებლობას და აცხადებს, რომ მსგავს ინციდენტზე ინფორმაციას არ ფლობენ.

28.11.2023

ტორონტოში ტერორიზმის ბრალდებით მამაკაცს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

ტორონტოში, მამაკაცის ქმედება, რომელმაც მასაჟის სალონში სასიკვდილოდ დაჭრა ადამიანი, კანადის სასამართლომ ტერორიზმად აღიარა და ბრალდებულს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. ეს არის პირველი შემთხვევა კანადაში, როდესაც ტერორიზმის ბრალდებით გასამართლდა პიროვნება და პროცესში, ინცელის იდეოლოგია ფიგურირებდა.

29.11.2023

შეიარაღებული თავდასხმა იერუსალიმში

იერუსალიმის შესასვლელთან მომხდარ შეიარაღებულ თავდასხმაზე, რომელსაც ემსხვერპლა სამი ისრაელის მოქალაქე და დაშავდა ექვსი ადამიანი, პასუხისმგებლობა ტერორისტულმა ორგანიზაცია ჰამასმა აიღო. შეიარაღებული თავდასხმა ორმა პიროვნებამ, ძმებმა მურად და იბრაჰიმ ნემერებმა განახორციელეს, რომელთაც ცეცხლი ავტობუსის გაჩერებაზე მდგომ მოქალაქეებს გაუხსნეს.

30.11.2023

თავდასხმა ერაყში

ერაყის აღმოსავლეთ ნაწილში გზისპირა შეიარაღებულ თავდასხმას ემსხვერპლა სულ მცირე 10 ადამიანი და კრიტიკულად დაშავდა 14 მოქალაქე. შეიარაღებულ თავდასხმას წინ უსწრებდა გზისპირა ნაწილში ნაღმების აფეთქება.

01.12.2023